# 2023 წლის ანგარიში

# განახლებული სტრატეგია

2023 წელს დავსახეთ ახალი, 5 წლიანი სტრატეგია, რომლის მიხედვითაც, ქალთა ფონდის საგრანტო პროგრამები 5 საკვანძო მიმართულებით გამოცხადდება:

**მოძრაობა**: ფემინისტური წინააღმდეგობის და მოძრაობის გაძლიერების პროგრამა
**თანასწორობა:** ქალთა სამოქალაქო-პოლიტიკური თანასწორობისა და ფემინისტური ადვოკატირების პროგრამა
**სამართლიანობა:** ქალთა სოციალური, კულტურული და ეკონომიკური სამართლიანობის პროგრამა
**ზრუნვა:** ჯანმრთელობის სამართლიანობის პროგრამა
**სოლიდარობა:** მედეგობისა და გადაუდებელი მხარდაჭერის პროგრამა

განახლებული სტრატეგიის განხორციელებას 2024 წლიდან შევუდგებით, გასული წლის განმავლობაში კი 20-მდე საგრანტო პროგრამის ფარგლებში, 100-ზე მეტ პროექტს დავუჭირეთ მხარი და ვმუშაობდით ქალთა შრომითი უფლებების, დალხენის პრაქტიკების, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების, გარემოსდაცვითი სამართლიანობის, ფემინისტური ადვოკატირების და მოძრაობის გასაძლიერებლად, ქალი უფლებადამცველების და ინტერსექციული ფემინისტური მოძრაობის ხელშესაწყობად.

# ოპერაციული მხარდაჭერის გრანტები

## 8 გრანტი

2023 წელს ქალთა ფონდმა გასცა 8 ძირითადი ოპერაციული მხარდაჭერის გრანტი. ეს არის შეუზღუდავი, მოქნილი საგრანტო პროგრამა, რომელიც განსაზღვრულია გრანტის მიმღების მთლიანი, ორგანიზაციული მხარდაჭერისთვის და არა კონკრეტული. პროექტული დაფინანსებისათვის. გრანტები გაიცემა ფონდის მიერ საგანგებო მოწვევის შემთხვევაში და გამიზნულია იმ ორგანიზაციებისთვის, რომელთა მისია და ღირებულებები/პრინციპები შეესაბამება ფონდისას და რომლებიც რამოდენიმე წლის მანძილზე იყვნენ ფონდის გრანტის მიმღებები. საგრანტო პროგრამა ემსახურება გრანტის მიმღები/პარტნიორი ორგანიზაციის განვითარების ეფექტური შესაძლებლობის შექმნასა და გრძელვადიანი შედეგების მიღწევას.

ოპერაციული მხარდაჭერის გრანტის მიმღებები გახდნენ: კავშირი “საფარი”; საქართველოს ახალგაზრდა მწვანეები; სამოქალაქო თანასწორობის პლატფორმა; სოციალურ მუშაკთა გაერთიანება; ქალების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის; ფუსფუსი; იდენტობა იუს (ქუთაისი); იდენტობა იუს (აჭარა)



# ინტერსექციური ფემინისტური მოძრაობის განვითარება საქართველოში

**10 გრანტი**

პროგრამის ფარგლებში ქალთა ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროექტები უმეტესად უსაფრთხო სივრცეების* შექმნას და ხელოვნების გზით გაუჟღერებელი ხმების მეტი ადამიანისთვის მიწვდენას ემსახურებოდა.

რუსთავში, მარნეულსა და გარდაბანში ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლების, იძულებით გადაადგილებული პირების, შშმ პირებისა და ეკომიგრანტებისთვის შეიქმნა უსაფრთხო სივრცე მათი გამოცდილებების გასაზიარებლად და ფემინისტური მოძრაობის გასაძლიერებლად.

დევნილი ახალგაზრდა ქალებისთვის თავისუფალი, უსაფრთხო სივრცის შექმნა კონფლიქტებთან და მშვიდობის მშენებლობის გენდერულ ასპექტებთან დაკავშირებული ცოდნის მისაღებად და საკუთარი გამოცდილებების გადასააზრებლად პროგრამის ფარგებში შიდა ქართლის რეგიონში მოხერხდა.

კიდევ ერთი უსაფრთხო სივრცე ქალის  პუბერტატსა და მენოპაუზაზე ფოკუსირებით, ქალთა ჯანმრთელობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად შეიქმნა.

* გარემო, სადაც ადამიანს შეუძლია თავი იგრძნოს დაცულად დისკრიმინაციის, კრიტიკის, გაკიცხვის, შევიწროების ან რაიმე სხვა ემოციური თუ ფიზიკური ზიანისგან.

ქალებისა და ქვიარ ადამიანების ხმებისა და გამოცდილებების გასაჟღერებდად შეიქმნა რამდენიმე პროექტი, რომელიც სხეულებრივი გამოცდილებების, როგორც რეფლექსიის, პოლიტიზებისა და თვით-აფირმაციის ობიექტის გაჩენას და ვიზუალურ ხელოვნებაში, ამ საკითხების გამოსახვის წახალისებასა და ახალგაზრდა ქალი და ქვიარ არტისტების მხარდაჭერას ისახავდა მიზნად.

პროგრამის ფარგლებში დაიდგა სპექტაკლი „ბერსერკები“, რომელიც სცენიდან აჟღერებს ქალის ხმას, მის გრძნობებს, ემოციებსა და დამოკიდებულებებს. ის მიჰყვება ქეთი ნიჟარაძის სადებიუტო რომანს - „ავტოპორტრეტი“, რომელიც ქართულ თანამედროვე ლიტერატურაში ქალის უნიკალურ ხმად და პერსპექტივად რჩება.

Liquid Structures: Reshaping histories through the water კიდევ ერთი სახელოვნებო პროექტია, რომელმაც ხუთი სხვადასხვა პრაქტიკის მქონე ქალი/ქალური გამოცდილების მქონე არტისტი შავი ზღვის ქვეყნებიდან გააერთიანა. მათ ერთად იმუშავებს კვლევაზე, ჩაატარეს კოლექტიური კითხვის სესიები ჰიდროფემინიზმზე და რადიკალური კოლექტიურობის პრინციპებზე დაყრდნობით შექმნეს ნამუშევრები.

პროგრამის ფარგლებში ასევე მოხერხდა: სამეგრელოს რეგიონში ადგილობრივი ფემინისტური რესურსის გაძლიერების ხელშეწყობა და მხარდაჭერა, შემდგომში ადგილობრივ დონეზე ქალთა უფლებრივი მდგომარეობის ადვოკატირებისა და გაუმჯობესებისთვის; საქართველოში ანტიგენდერული მოძრაობის აღმასვლის დინამიკის, მისი სოციო-პოლიტიკური მდგენელებისა და ძირითადი ნარატივების ჰოლისტური მიდგომით შესწავლა და კვლევითი დოკუმენტის შექმნა; მომეტებული საფრთხის შემცველ პროფესიებში დასაქმებული ქალების ფიზიკური და ციფრული უსაფრთხოების დაცვის ხელშეწყობა, რომელიც სოციალურ მუშაკთა გაერთიანების მიერ სამიზნე ჯგუფების საჭიროებების მოკვლევისა და ანალიზის მიხედვით დაიგეგმა.

# ინტერსექციური ფემინისტური მოძრაობის განვითარება საქართველოში

## 10 გრანტი

პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილი პროექტების თემატიკა მოიცავდა როგორც ფემინისტური სივრცის შექმნას და გინეკოლოგიურ კონსულტაციებს მარტყოფის მუნნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისთვის, ისე აზერბაიჯანელი ქალებისთვის კიბერ თავდასხმისგან და ონლაინ ძალადობისგან თავის დაცვის ტექნიკების სწავლებას; ასევე, იეზიდი და ბოშა ქალებისთვის საკუთარი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას; ენდომეტრიოზის მქონე ქალების გაძლიერებას და საინფორმაციო რესურსების შექმნას; გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების გაძლიერებას და ინტერკულტურული კომუნიკაციისა და დიალოგის მხარდაჭერას; კავკასიის რეგიონის ქვიარ და ფემინისტი მხატვრების წარმოდგენებს, გამოფენას, ქსელის ჩამოყალიბების შესაძლებლობასა და საუბრებს; ფილმზე მუშაობას ეკონომიკური მიგრანტი ქალების შესახებ, რომლებიც სხვა ქვეყანაში ზრუნვის სამუშაოს ასრულებენ; პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების ხმის გაჟღერებას და მათი ცხოვრებისა და ემოციების პროექტის სახით ჩვენებას; ქვიარ ფემინისტი და ქვიარ-მხარდამჭერი ფემინისტი ქალების პერსპექტივების გაზიარებას იდენტობის ძიებასა და არსებულ სოციო-კულტურული ჩარჩოების მიღმა არსებობაზე; პოლიტიკურ ველში თანამოაზრე ქალთა დაკავშირება; აჭარაში მცხოვრები ბელარუსი აქტივისტი ქალების მედეგობის გაზრდა, მათ შორის რთული ფსიქოლოგიური ტრავმის სიმპტომების მქონე ქალების გამოვლენა და რეფერირება შესაბამის პროგრამაში.

# ფემინისტური მოძრაობის გაძლიერება და მობილიზაცია საქართველოს რეგიონებში

**10 გრანტი**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულმა პროექტებმა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი მოიცვა. მის მიღმა არ დარჩენილან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებიც. მემწვანილე აზერბაიჯანელი ქალების ისტორიები, გამოწვევები და მათ საქმიანობაზე კლიმატის ცვლილების გავლენა უფრო მეტი ადამიანისთვის გახდა თვალნათელი.

კიდევ ერთი პროექტის საშუალებით გორის ქალთა ორგანიზაციები, საინიციატივო ჯგუფები და ქალი აქტივისები გაერთიანდნენ და მათ შორის სოლიდარული, ურთიერთმხარდამჭერი და თანამშრომლური დამოკიდებულება გაძლიერდა.

პროგრამის ფარგლებში შემნილმა ქვიარ და ფემინისტურმა ბანაკმა მთელი ძალისხმევა მონაწილეების თვითზრუნვის პრაქტიკების ჩამოყალიბებასა და მენტალურ ჯანმრთელობაზე ზრუნვაში ჩადო.

იმერეთის რეგიონში მცხოვრები რეპატრიანტი მესხების სოციალური და კულტურული ინტეგრაციის მხარდასაჭერად დაიწყო ინტერ-კულტურული დიალოგი.
აჭარის რეგიონის 50 სოფელში ჩატარდა საგანმანათლებლო კამპანია, რომელიც ახალგაზრდა გოგონებისა და ქალების გაძლიერებას, ფემინისტური ლიდერობის მშენებლობასა და არაძალადობრივი გარემოს შექმნაზე იყო ფოკუსირებული.

ქალების და გოგოების, მათ შორის ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენ-

ლების გამოცდილებების, ისტორიების, გამოწვევების, უფლებების, თანასწორობისა და ინკლუზიურობის შესახებ ინტერესისა და ცნობიერების გასაზრდელად რამდენიმე პროექტი სხვადასხვა რეგიონში ერთდროულად განხორციელდა.
პროგრამის სამიზნე ჯგუფებს შორის იყვნენ მარტოხელა დედები ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან, რომლებიც ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით შეირჩნენ და პროექტის ფარგლებში მოხერხდა მათთვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

## ქალთა შრომითი უფლებების აღვოკატირება | 5 გრანტი

პროგრამის ფარგლებში ქალთა ფონდს საშუალება მიეცა ქალთა შრომითი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების, დაცვისა და ადვოკატირების მიმართულებით უფრო მეტი პროექტისთვის გამოეცხადებინა მხარდაჭერა.

შედეგად, აჭარის კლინიკებში დასაქმებულმა ექთნებმა, „1+4“ პროგრამაში ჩართულმა ეთნიკურად სომეხმა გოგოებმა, რეგიონებში მცხოვრებმა ქალებმა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაქმებულმა და სამუშაოს მაძიებელმა ქალებმა შეძლეს მიეღოთ ამომწურავი ინფორმაცია საკუთარი შრომითი უფლებების და სამუშაო ადგილზე გენდერული თანასწორობის შესახებ, გაეჟღერებინათ საკუთარი საჭიროებები და გამოცდილებები, დაკავშირებოდნენ ერთმანეთს და მხარდაჭერის ქსელის შექმნით მიეღოთ თვითორგანიზების გამოცდილება.

მათი ბრძოლის მიმართ მხარდაჭერის და სოლიდარობის გასაზრდელად, საზოგადოებისთვის მომზადდა 12 მულტიმედია პროდუქტი და სტატია, ასევე თარგმანები, წიგნის რეცენზიები და სხვა მასალები ქალთა შინ და გარეთ შრომის სირთულეების, უხილავი გამოცდილებების, გენდერული თანასწორობის და უფლებების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.

# სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების დაცვა

## 4 გრანტი

პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილი პროექტების მიზანი გოგოების, ქალების და ტრანს ადამიანების გაძლიერება და მათთვის სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე სტიგმისგან თავისუფალი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა იყო.

მოხერხდა აივ დადებით ქალთა სამუშაო ჯგუფის გაძლიერება, ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო პროცესებში ეფექტური ჩართულობისთვის და მათთვის ტრავმაზე ორიენტირებული თვითდახმარების ჯგუფების ფუნქციონირების ინიცირება.

შეიქმნა ემპირიულ მონაცემებზე დაფუძნებული დოკუმენტი, რომელშიც იდენტიფიცირებულია ის გამოწვევები, რაც ტრანს ადამიანებს, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების კუთხით გააჩნიათ. დოკუმენტი ხელს შეუწყობს საადვოკაციო პროცესების, შესაბამისი სერვისებისა და პროექტული აქტივობების დაგეგმვას, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს SRHR საკითხების ეროვნულ, საადვოკაციო პროცესებში ტრანს საკითხების გაჩენში.

ციფრული არხების საშუალებით გაიზარდა ენდომეტრიოზის, მისი სიმპტომების, დიაგნოსტიკის და მკურნალობის აუცილებლობის შესახებ ინფორმირებულობა, რაც ემსახურებოდა როგორც ენდომეტრიოზის მქონეთა ცხოვრების გამარტივებას, ისე ფართო საზოგადოებაში დიაგნოზის დესტიგმატიზაციას და თანაგანცდის გაჩენას.

პროგრამის ფარგლებში შეიქმნა სრჯუ საკითხების გზამკვლევი და გადამზადდა მშობლებისა და მასწავლებლების არაფორმალური ჯგუფი.

# ფემინისტური ადვოკატირების გრანტები

## 5 გრანტი

2023 წელს ფემინისტური ადვოკატირებისთვის შერჩეულ თემებს შორის განსაკუთრებული ყურადღება შრომით უფლებებზე და სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე გამახვილდა.

გურიის რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგოებისთვის უზრუნველყოფილ იქნა ჯანდაცვის ისეთი მიუწვდომელი სერვისები, როგორიცაა გინეკოლოგის კონსულტაცია, ბავშვთა და ზრდასრულთა ფსიქიატრის კონსულტაცია და სხვა. შშმ პირებმა და შშმ ბავშვების მშობლებმა მიიღეს ყველა საჭირო ინფორმაცია სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების, ქვეყანაში მიმდინარე სოციალური და ჯანდაცვის სერვისებისა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის ეფექტური გზების შესახებ.

მოხერხდა საბაზისო და ხელმისაწვდომი სამედიცინო პროცედურების, თანამედროვე კონტრაცეფციის, საჭირო ვაქცინაციისა და სხვადასხვა ტიპის სკრინიგის შესახებ ინფორმაციის სისტემატიზირება და გავრცელება. ხოლო მენსტრუალური კალენდრის პირველმა ქართულმა აპლიკაციამ “გოგოური” ტექნიკური განვითარებისთვის მიიღო მხარდაჭერა.

ქალების შრომითი უფლებების დასაცავად, შეიქმნა საინფორმაციო მასალები სამუშაო ხელშეკრულების, ანაზღაურების და ზეგანაკვეთური შრომის რეგულირების, ღირსეული სამუშაო გარემოს შესახებ. კვლევამ ,,შრომა მოდის ინდუსტრიაში“ შეისწავლა მოდის სფეროში დასაქმებული გოგოებისა და ქალების გამოწვევები.

დასაქმებული ქალების უფლებებისთვის ტრენერთა ტრენინგი ჩატარდა ჯავახეთში, სადაც 6 სოფელში სომხურენოვან მოსახლეობას მიეწოდა ამომწურავი ინფორმაცია მათი შრომითი უფლებების შესახებ და დაიწყო ადვოკატირება ადგილობრივ თვითმმართველობასთან, რათა პროექტით გამოვლენილი გამოწვევები მუნიციპალურ გეგმასა და ბიუჯეტში აისახოს.

პროგრამის ფარგლებში ასევე აქცენტი გაკეთდა ეკომიგრანტი ქალების მონაწილეობის გაზრდაზე გარემოსდაცვითი სამართლიანობისკენ მიმართულ პროცესებში. შეგროვდა ზეპირი ისტორიები წალკისა და საგარეჯოს იმ სოფლებში, რომლებიც ეკომიგრანტებითაა დასახლებული. ეკომიგრანტმა ქალებმა და გოგოებმა ისაუბრეს პირად გამოცდილებაზე ბუნებრივ რესურსებზე წვდომის, გენდერული თანასწორობის, სრჯუ და კლიმატის ცვლილების საკითხებთან მიმართებაში. გამოკვეთილი საჭიროებები და გარემოსდაცვითი სამართლიანობის პოლიტიკის რეკომენდაციები ადგილობრივ თვითმმართველობასა და გარემოს დაცვის სამინისტროს გაეგზავნა.

# ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია

## 6 გრანტი

პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილმა პროექტებმა ძალისხმევა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობაზე და მათ დღის წესრიგში გენდერული ძალადობის პრობლემის დაყენებისკენ მიმართეს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმდა მემორანდუმი და ქალთა ოთახთან თანამშრომლობის ფარგლებში გადამზადდა 20 კონსულტანტი სრჯუ–ს საკითხებზე; იმერეთის 4 მუნიციპალიტეტში დაიწყო ადგილობრივ თვითმმართველობებთან ადვოკატირების კამპანია, ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის სერვისების მიწოდების გაუმჯობესების მიზნით; კახეთის რვავე მუნიციპალიტეტში ჩატარებული სამუშაოების შედეგად კახეთის გენდერულ საბჭოებს შორის მუნიციპალიტეტთაშორისი კოორდინაცია გაძლიერდა; შიდა ქართლის რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეში დაიწყო ადგილობრივ ხელისუფლებასთან აქტიური კომუნიკაცია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მუნიციპალური პოლიტიკის შესამუშავებლად.

ადგილობრივ ხელისუფლებასთან აქტიური მუშაობის პარალელურად ამავე რეგიონებში მიმდინარეობდა ცნობიერების ამაღლების სხვადასხვა აქტივობა, როგორიცაა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები ქალების და გოგონების ინფორმირება სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე; ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისთვის საინფორმაციო კამპანიის წარმოება კახეთის რეგიონში; იმერეთის მუნიციპალიტეტებში დევნილი და ეკომიგრანტი ქალებისთვის ფსიქოლოგიური და სამართლებრივი სერვისების შეთავაზება; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 10 სოფელში მცხოვრები ქალების ცნობიერების ამაღლება ციფრული უსაფრთხოების მიმართულებით და ქალთა მხარდამჭერი ქსელის ჩამოყალიბება.

# ქალი უფლებადამცველებისა და ფემინისტი აქტივისტების რეაგირება კონსერვატიული და ანტი-გენდერული მოძრაობების საპასუხოდ

**4 გრანტი**

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში ულტრა-მემარჯვენე ჯგუფები მეტად გააქტიურდა, რისთვისაც ნოყიერ საფუძველს არსებული სახელმწიფო პოლიტიკა ქმნის. ანტიგენდერული მოძრაობების მთავარი სამიზნე ლგბტქ+ ჯგუფი და ფემინისტი აქტივისტები ხდებიან. ქალთა ფონდი ცდილობს ამხილოს ძალადობრივი ჯგუფების მიზნები და დასახოს სტრატეგიები მათი ზიანის შესამცირებლად და ამავდროულად, გააძლიეროს ფემინისტური მოძრაობა, მხარი დაუჭიროს აქტივისტთა ჯგუფებს, საზოგადოებამდე მიიტანოს აქამდე სუსტად გაჟღერებული ხმები, ქალების საერთო თუ უნიკალური გამოცდილებები.

შეიქმნა არაფორმალური სასწავლო კურსი - „საზოგადოდ ფემინიზმის შესახებ“, რომლის მიზანია, ერთი მხრივ, საქართველოში ფემინისტური ღირებულებებისა და მოძრაობის შესახებ ისტორიული კონტექსტის გაშლა; მეორე მხრივ კი, კურსის მონაწილეთათვის ფემინიზმის ინტერსექციული ბუნების, მისი მრავალშრიანობის და სოციალური თანასწორობის მიღწევაზე ორიენტირებულობის ჩვენება.

პროგრამის ფარგლებში ასევე მომზადდა 8 ვიდეო გაკვეთილი, სხვადასხვა ტიპის ონლაინ შევიწროებასთან გასამკლავებლად. ციფრულ სივრცეში უკეთ საორიენტაციოდ და კომუნიკაციის საშუალებების გასაცნობად პატარა ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდა ფემინისტების და მოზარდი აქტივისტი გოგონებისთვის ჩატარდა ტრენინგები. მონაწილეებმა ისწავლეს საკუთარი შეხედულებების და რეფლექსიების საზოგადოებამდე მისატანად სხვადასხვა ტიპის კონტენტის შექმნა  სოციალური მედიის არხებისთვის, ბლოგ-ტექსტების სწორი ფორმატით წერა; ვიდეოებისა და პოდკასტების მომზადება.



# ქალთა ორგანიზაციების მდგრადობის/მედეგობის გაძლიერება (2022-2024 წწ.)

## 4 გრანტი

მიმდინარე ანტიფემინისტური თავდასხმები და დემოკრატიული სივრცეების მზარდი შემცირება აძლიერებს ქალების მარგინალიზაციას. პოლიტიკური, ეკონომიკური და შეიარაღებული კონფლიქტები და კრიზისები, ისევე როგორც ქალთა მიმართ ძალადობის ზრდა საფრთხეს უქმნის აქტივისტების მუშაობას. ეს მოვლენები ასუსტებს არა მხოლოდ ქალთა და ადამიანის უფლებათა მოძრაობებს, არამედ დემოკრატიული ქვეყნების მომავალსაც. ამრიგად, საერთაშორისო მასშტაბით მთავარი გამოწვევაა ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების სტაბილურობის უზრუნველყოფა და, შესაბამისად, მათი მუშაობის უზრუნველყოფა. აუცილებელია მათი მედეგობა, რათა, გრძელვადიან პერსპექტივაში, ეფექტური იყოს მათი საქმე. ქალთა ძლიერი ხმა ისე გვჭირდება, როგორც არასდროს. ამიტომაც დაიგეგმა ქალთა ორგანიზაციების მდგრადობის/მედეგობის სამწლიანი პროექტი, რომელიც მხარს უჭერს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აქტივისტების თანამშრომლობას ინსტიტუციური, კოლექტიური და ინდივიდუალური მდგრადობისთვის. პროექტი ხელს უწყობს აპრობირებული და ახალი მიდგომების გაცვლას, განხორციელებას და გაზიარებას პროექტში ჩართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის (ქალთა ფონდები, ადგილობრივი ქალთა ორგანიზაციები).

2023 წელს მხარდაჭერა ოთხმა ორგანიზაციამ მიიღო.

“ქვიარ ასოციაცია-თემიდამ” შეძლო ეზრუნა ორგანიზაციული განვითარებისა და მდგრადობის ხელშეწყობაზე, შეექმნა სტრატეგიული დოკუმენტები და მხარი დაეჭირა თანამშრომლების ფსიქო-ემოციური და ფიზიკური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის.

შეიქმნა ორგანიზაციის “ქალთა ხმები”  ვებგვერდი, სადაც თავი მოეყარა 2018 წლიდან დაგროვილ კვლევით და ფოტო-ვიდეო მასალას.  სამომავლოდ კი, ქალებს საშუალება მიეცემათ ვებგვერდზე განათავსონ საკუთარი ბლოგები და სტატიები და საკუთარი ხმა მიაწვდინოს უფრო ფართო აუდიტორიას.

მხარდაჭერა მიიღო ქვემო ქართლის რეგიონში მომუშავე ქალი ჟურნალისტების მედია ორგანიზაციამ „ქვემო ქართლის მედია - QvemoQartli.ge” და შეძლო თანამშრომელ ქალთა ფსიქოლოგიური კეთილდღეობის უზრუნველყოფა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა.

“უხუცეს ქალთა საბჭომ” ორგანიზაციის მდგრადობის გაზრდაზე ზრუნვა კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავების და ეფექტიან კომუნიკაციაში გუნდის წევრების გადამზადების გზით მოახერხა.



# ქალთა უფლებების დაცვა და ქალი უფლებადამცველების მხარდაჭერა

## 6 გრანტი

პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილი 6 პროექტიდან ორი შშმ ქალების საჭიროებებსა და კეთილდღეობაზე იყო ორიენტირებული. კვლევის მეშვეობით, გამოვლინდა შშმ ქალების გამოწვევები და მის შედეგებზე დაყრდნობით დაიგეგმა თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან. მათთვის მომზადებული ტრენინგ/მოდულის „გენდერი და შეზღუდული შესაძლებლობა“ მიზანი იყო სახელმწიფო მოხელეების სენსიტიურობის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებთან მიმართებაში პოლიტიკის სწორად დაგეგმვას და უშუალოდ შშმ ქალებისა და გოგოების მეტად ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

პროგრამის ფარგლებში ასევე დაიგეგმა და განხორციელდა შშმ ქალთა და შშმ ბავშვთა დედების ცნობიერების ამაღლების კამპანია ქალთა უფლებების, ძალადობის (ოჯახში ძალადობა, კიბერძალადობა, უსაფრთხო სივრცის მნიშვნელობა), და გენდერის შესახებ.

პანკისის ხეობაში მცხოვრები ქალების მენტალური და ემოციური კეთილდღეობისთვის შეიქმნა შემოქმედებითი აქტივობების/ არტ-თერაპიის კურსი, რომლისთვისაც ადგილობრივი ფსიქოთერაპევტი გადამზადდა და სამომავლოდ, დამოუკიდებლად განაგრძობს მუშაობას თემთან.

დაიწყო სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ქალთა მობილიზება საქართველოს სამ რეგიონში: იმერეთში, სამეგრელოსა და აჭარაში და შეიქმნა  უსაფრთხო სივრცე ფემინისტი აქტივისტებისა და ქალი უფლებადამცველების ჯგუფებისთვის.

ოზურგეთისა და ბოლნისის მუნიცილალიტეტებში განხორციელდა ცნობიერების ამაღლების აქტივობები  მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების სამოქალაქო აქტიურობის, თემის საქმიანობაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის გასაზრდელად.

# დალხენის პრაქტიკების ხელშეწყობა ფემინისტურ მოძრაობაში

**7 გრანტი**

ტრავმებისგან განთავისუფლების, თვითზრუნვისა და კოლექტიური ზრუნვის პრაქტიკების დანერგვა, რომელსაც დალხენა ვუწოდეთ, ფონდისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს, რადგან დასვენება, გამთლიანება, ემოციური კეთილდღეობა წინააღმდეგობის ფორმაა და აქტივისტებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია.

სწორედ ამიტომ, პროგრამის ფარგლებში დაორგანიზდა სათავგადასავლო ბანაკი, რომელიც კოლექტიურ ტრავმაზე და ბუნებასთან ძლიერი კავშირის დამყარებაზე იყო ფოკუსირებული; გოგოებმა ისწავლეს ფიზიკური თავდაცვის ხერხები; დაიდგა  ხუთი ერთობლივი მოკლე ქორეოგრაფიული წარმოდგენა  „კონტაქტის ზონა“, რომელზეც მუშაობდნენ შეზღუდული შესაძლებლობისა და ტიპური განვითარების მქონე ხელოვანი ქალები და ამ საურთიერთო ველში მაყურებელსაც მიეცა საშუალება შეერთებოდა თვით-შეცნობის, ურთიერთზრუნვისა და დალხენის პროცესს; შშმ ქალების, ლგბტქი+ ადამიანების, ხელოვნებასა და აქტივიზმში მოღვაწე ქალებისთვის შეიქმნა შემოქმედებითი სივრცეები.

პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილმა პროექტმა შეძლო დუხაბორულ თემში შემორჩენილი მლხენელი ქალების ცოდნების დოკუმენტაცია, კონსერვაცია და ფართო საზოგადოებისთვის მისი მიწოდება. ამავდროულად, წინ წამოწია ნინოწმინდის სოფლებში მცხოვრები ქალების როლი, ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება და მათი კავშირი და სპირიტუალური დამოკიდებულება გარშემო ბიომრავალფეროვნებასთან, რაც როგორც სხვისი, ისე თვითდალხენის ისტორიული პრაქტიკაა.

# ქალთა უფლებები და გარემოსდაცვითი სამართლიანობა

## 10 გრანტი

ქალთა ფონდი წლების განმავლობაში მუშაობს გარემოსდაცვითი სამართლიანობის საკითხებზე და ცდილობს, მეტად ხილული გახადოს მისი თანაკვეთა ქალთა უფლებებთან და კეთილდღეობასთან.

2023 წელს ამ მიმართულებით მხარდაჭერილი პროექტები მიზნად ისახავდა ამ თემაზე ცნობიერების ამაღლებას, ადვოკატირებას, ქალების გაძლიერებას მეტი ჩართულობის მისაღწევად, არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებას და მათ გადასაჭრელად ადგილობრივ ქალთა ქსელის ჩამოყალიბებას ან გაფართოებას საქართველოს რეგიონებში. ამასთან, პროგრამის ფარგლებში მოხერხდა აჭარის სხვადასხვა სოფლებში, დაბა კაზრეთისა და ჭიათურის შემოგარენში მცხოვრები ქალების ინფორმირება ენერგეტიკული პროექტებისა და მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. ქალებმა ერთობლივად გააგრძელეს სამომავლო ინიციატივების დასახვა და შეიქმნა პლატფორმა „ადგილობრივი ქალები საარსებო გარემოსთვის“.

გურიის რეგიონში დაორგანიზდა ინფორმაციული შეხვედრების, დისკუსების და სემინარების სერია თანასწორობაზე, ეკო-მეგორულ მშენებლობაზე, ქალთა გამოწვევებზე, სათემო აქტივიზმსა და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობაზე. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრებ ქალებთან ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების მთავარი თემები კი გარემოსდაცვითი დემოკრატია, ქარსაფარი ზოლების შენარჩუნების მნიშვნელობა, სავარგულების დაცვა, ეკოლოგიური საფრთხეები და კლიმატის ცვლილება იყო.

პროექტების ფარგლებში დაიწყო კონსულტაციები ადგილობრივ თვითმმართველობასთან არსებული გარემოსდაცვითი გამოწვევების გადასაჭრელად.

პროგრამის მხარდაჭერით, მოქალაქეები ჩაერთნენ ადვოკატირების კამპანიაში და სამართლებრივი დოკუმენტებისა და პეტიციის გზით მოითხოვეს ქუთაისში არსებულ მეტალურგიულ ქარხანაში მავნე გამონაბოლქვის საწინააღმდეგო ფილტრების დამონტაჟება, მძიმე მეტალების გამოფრქვევის და მოსახლეობაში სხვადასხვა დაავადებების გავრცელების შესაჩერებლად. კახეთის რეგიონში კი საოჯახო სასტუმროებმა დაიწყეს მზის ენერგიის გამოყენება.

გარემოსდაცვით საკითხებზე, უფრო კონკრეტულად კი მოპოვებითი და ექსტრაქტივისტული საქმიანობის საფრთხეებზე და მათ კავშირზე ქალთა უფლებებთან, ქალთა ფონდმა მონღოლეთისა და ნეპალის ქალთა ფონდებთან ითანამშრომლა. სამი ქვეყნის გამოცდილებების გაზიარებასთან ერთად, დაისახა თემის ფემინისტურ ჭრილში კვლევის გეგმაც.

საქართველოს ორი სხვადასხვა რეგიონის, ზემო იმერეთისა და მთიანი აჭარის მაგალითების შესწავლით; ორი სექტორის - წიაღისეულის მოპოვებისა და ჰიდროენერგეტიკის განვითარების ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური შედეგების ურთიერთმსგავსების გამოკვეთის შედეგად, ალექსანდრა არაშვილის კვლევამ სიღრმისეულად გააანალიზა, თუ როგორ იქცევა ისინი ერთიან ექსტრაქტივისტულ რეჟიმად და რა გავლენას ახდენს საქართველოში პერიფერიულ ქალაქებსა და რურალურ სივრცეებში მცხოვრებ ადამიანებზე, განსაკუთრებით კი ქალების ყოველდღიურ შრომასა და სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მათ საცხოვრებელ არეალებსა და რესურსებზე წვდომაზე; მათი და მათი შვილების ჯანმრთელობაზე, ემოციურ და მენტალურ მდგომარეობაზე

# სტრუქტურული ძალადობა და გარემოსდაცვითი სამართლიანობა

## 2 გრანტი

პროგრამის მიზანი გარემოსდაცვითი სამართლიანობის მისაღწევად, როგორც ქალი გარემოსდამცველების, ისე დაზარალებული ქალების გაძლიერება და გადაწყვეტილების მიმღებ იუწყებების დღის წესრიგში პრობლემის დაყენების ადვოკატირება იყო.

მხარდაჭერილი პროექტებით მოხერხდა სამართლებრივი მხარდაჭერა ქალი გარემოსდამცველებისთვის, რათა უფრო ეფექტურად გაუმკლავდნენ რთულ გარემოსდაცვით და სამართლებრივ გამოწვევებს, ასევე კოლექტიური მუშაობის გაძლიერება ქალი გარემოსდამცველების ქსელის ჩამოყალიბების და ურთიერთანამშრომლობის ხელშეწყობით.

ქალაქ ფოთში, მაღალი დაბინძურების ზონებში მცხოვრებმა ადამიანებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია მათ ირგვლივ არსებული გარემოსდაცვითი პრობლემების და საკუთარი უფლებების შესახებ, შემდეგ კი გარემოსდაცვით ადვოკატირების კამპანიაში ჩაერთნენ. ისინი ეცდებიან მიაღწიონ არსებული თუ ახალი ტერმინალების მშენებლობების მუდმივ მონიტორინგს და ადგილობრივ თუ ცენტრალურ დონეზე გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული შესაძლო ჯანდაცვის რისკების დღის წესრიგში დაყენებას.

# გენდერზე, გარემოსა და კლიმატზე მომუშავე ჯგუფების მხარდაჭერა მათი ავტონომიურობისა და სათემო ინიციატივების გასაძლიერებლად

**5 გრანტი**

“დიმელი ქალების” მიზანია დიმი და ზედა დიმი ტურისტულად თუ აგრონომიულად უფრო აქტიური გახდეს, ადგილობრივ ქალებს და გოგოებს გაუჩნდეთ შემოსავალი და საკუთარი საქმე. ისინი ადგილზევე შეძლებენ განათლების მიღებას და დასაქმებას; ადგილობრივი მეურნეები კი გაიუმჯობესებენ ციფრული კომუნიკაციის სტრატეგიებს, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაციისთვის, რაც საბოლოოდ ქალთა დასაქმების მეტ შესაძლებლობას. პროექტის ყველა მონაწილე ისწავლის, თუ როგორ შეიძლება ბუნებრივი რესურსები ათვისება, გარემოს დაზიანების გარეშე.

თეთრიწყაროს რაიონში მცხოვრები ახალგაზრდების დახმარებით, ადგილობრივმა მოსახლეობამ შეიტყო მეტი ნარჩენების მართვასა და ძველი ნივთებისთვის ახალი ფუნქციის მინიჭებაზე. პროექტის ფარგლებში, მოსახლეობისგან მიღებული ტანსაცმლითა თუ ძაფებით. ადგილობრივი ქალების დახმარებით დამზადდა სათამაშოები და ნაჭრის ჩანთები. სათამაშოები დაურიგდათ სოციალურად დაუცველ ბავშვებს. ჩანთები კი დარიგდა სავაჭრო ობიექტებთან. პროექტს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით დაგეგმილი კამპანიაც აძლიერებდა.

ლაგოდეხში, ნინიგორის თემში მდებარე ეკოსოფელმა პროგრამის ფარგლებში შეძლო გარემოსდაცვითი აქტივობების ხელშეწყობა და ადგილობრივ თემთან თანამშრომლობითი სწავლების პროცესის დაწყება.

ცნობიერების ამაღლების საქმეში მედია ორგანიზაცია “კაქტუსი” ჩაერთო, რომელიც კლიმატის ცვლილების და სათბურის გაზების გამოყოფის თემებზე სიღრმისეულ სტატიებს ამზადებდა და საზოგადოებას რეგიონში მცხოვრები გარემოსდამცველი ქალების ბრძოლის ისტორიებს აცნობდა.

იმერეთის რეგიონის სკოლებში დაარსდა ეკოფემინისტური კლუბი, გარემოსდაცვითი ცნობიერების გასაზრდელად; მოძრავი ხარაგაულის და ზესტაფონის ისტორიულ მუზეუმებში მოეწყო მომზადებული საექსპოზიციო მასალების გამოფენა და შეიქმნა ვირტუალური გიდი.


III
VI
IX
XI
SUN
MON
TUE
WED
THU
FRI
SAT
SUN
MON
TUE
WED
THU
FRI
SAT
SUN
MON
TUE
WED
THU
FRI
SAT
SUN
MON
TUE
WED
THU

# ღია კარის საგრანტო პროგრამა

## 8 გრანტი

ღია კარის პროგრამა ქალთა ფონდის ყოველწლიური პროგრამაა, რომლის უცვლელი მიზანია დატოვოს სივრცე, წინასწარ განსაზღვრული თემატიკების მიღმა არსებული პრობლემების მოსასმენად და მხარდასაჭერად. შესაბამისად, ღია კარის სამუშაო თემები და მიღწევები ყოველთვის მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

2023 წელს პროგრამის ფარგლებში შეიქმნა სახელოვნებო პროექტები:

- ვიდეო არტის ფორმატის სარეკლამო რგოლი, რომელიც ქალებს აწვდის ინფორმაციას კლუბების, საკონცერტო დარბაზებისა თუ სხვა გასართობი დაწესებულებების სივრცეში უსაფრთხო გართობის, ძალადობის პრევენციისა და ძალადობის შემდგომი უფლებრივი პროცედურების შესახებ.
- 9 წუთიანი თოჯინური ანიმაცია, სცენარის ,,ელენე დარიანი“ მიხედვით.
- მხატვრული ნამუშევარი “შუშანიკი” - რუსთავის ქარხნების ქალ მუშაკებსა და ქალურ დაავადებებზე

სახელოვნებო მედიუმები იქნა გამოყენებული ქალთა ფეხბურთში არსებული საკითხებისა და პრობლემების აქტუალიზებისთვის საჯარო სივრცეში.

პროგრამის ფარგლებში, ასევე, მომზადდა საქართველოში არსებული ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიფემინისტური დისკურსის ანალიზი და საზოგადოებას განემარტა მათგან მომავალი საფრთხეები. მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები ქალებისთვის გაიმართა იმიტირებული სასამართლო პროცესები ქალთა ქონებრივი თანასწორობისთვის; შეიკრიბა რაჭაში მცხოვრებ ქალთა ისტორიები, რომელიც აჩვენებს, როგორ იცვლებოდა რაჭის გარემოს იერსახე, როგორი იყო რესურსების ექპლუატაციაზე მიმართული სახელისუფლებო პოლიტიკის წინააღმდეგ მოსახლეობის პროტესტი, როგორ ითვისებდნენ და იყენებდნენ ქალები ადგილობრივ რესურსებს ყოველდღიურ ცხოვრებაში და როგორი იყო მათი აქტივიზმის ისტორია ამ მიმართულებით.

თიანეთის მუნიციპალიტეტში კი შეიქმნა ქალთა კლუბი, სადაც ახალგაზრდა გოგოები, მათი მშობლები და მასწავლებლები შეძლებენ საუბარს მათთვის მწვავე თემებზე და ერთობლივად იმუშავებენ მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები გოგოებისა და ქალების დასახმარებლად, მოძალადის იდენტიფიცირების და პრევენციის გზების პოვნის მიმართულებით.

# კატო მიქელაძის სახელობის პრემია ქალი უფლებადამცველებისთვის

2023 წელს განახლდა კატო მიქელაძის სახელობის პრემიით დაჯილდოვების კონცეფცია, ცერემონიის ფორმატი და ჯილდოს ვიზუალი.

ერთწლიანი შესვენების შემდეგ, კატო მიქელაძის პრემია ფემინისტ, ქვიარ და გარემოსდაცვითი საკითხების აქტივისტს, ალა პარუნოვას გადაეცა.

ღონისძიებაზე კანდიდატებმა საკუთარი საქმიანობის, მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ სამი პანელის ფარგლებში ისაუბრეს: ფემინისტური ცოდნის წარმოება და გავრცელება; ქალთა უფლბების ადვოკატირება და ინტერსექციული ფემინიზმი.



პარალელურად, დამსწრეები გაერთიანდნენ გურული ქალის, ქეთო წილოსანის დასახმარებლად, რომელსაც მცირე ხნით ადრე მთელი ლანჩხუთის ახალგაზრდობის მთავარი თავშეყრის, არაფორმალური განათლების, თანამოაზრეების პოვნისა და საკუთარი იდეებისა თუ ოცნებებისთვის ფრთაშესხმის ადგილის, “ქეთოსთან” დახურვა მოუწია, ახლა კი ფინანსურ რესურსებს აგროვებს თავისი საქმიანობის გასაგრძელებლად.

ფონდების მობილიზება იმ ქალებისთვის, ვისაც მხარდაჭერა სჭირდება, კატოს ახალი ტრადიცია გახდება.

# ფემინისტური ფესტივალი რაჭაში

2023 წელს ფემინისტური ფესტივალი რაჭაში ჩატარდა.

მისი მთავარი თემა გარემოსდაცვითი საკითხები და ქალების კეთილდღეობის ურთიერთკვეთა იყო.

სამი დღის განმავლობაში ვისაუბრეთ გარემოსდაცვით სამართლიანობაზე, ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის გენდერულ ასპექტებზე, ქალების როლზე ბუნებრივი რესურსების დაცვასა და განვითარებაში და ა.შ.

ტრადიციულად, ფესტივალის განუყოფელი ნაწილი იყო სახალისო, შემოქმედებითი თუ მლხენელური აქტივობებიც, როგორიცაა თამაშები, პიკნიკები, ფილმების ჩვენება, ვორქშოპები და სხვა მრავალი.

ფესტივალზე ვაჩვენეთ ნათელა გრიგალაშვილის ვიდეოების სერიია: “წყალი, მიწა, ცეცხლი, ჰაერი”, რომელიც გარემოსდაცვით პრობლემებს და ქალების კეთილდღეობაზე მათ ზემოქმედებას ეხება.

## ფემინისტრიმის მერვე სეზონი

ფემინისტური პოდკასტების სერია “ფემინსტრიმი” მერვე სეზონით დაბრუნდა და გაგავაცნო ახალი ავტორები: ნინო ასათაშვილი, ქეთი ხუციშვილი, ქეთი მურღულია, თათია დვალი და გოჰარ აღჯოიანი.

ისინი საკუთარ მსმენელს ესაუბრებოდნენ ზრუნვის და მისი პოლიტიკური მნშვნელობის; დედების, ბავშვებისა და მათთვის არსებული სერვისების; ანტიგენდერული მოძრაობების და მათგან მომავალი საფრთხეების; სამცხე-ჯავახეთელი ქალების ცხოვრების, შრომისა და პრობლემების; ქალთა და ფემინისტურ მოძრაობებში არსებული გამოწვევების შესახებ.

## ფემინისტური ფორუმი

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფთან თან ერთად ფემინისტურ ფორუმს ვუმასპინძლეთ.

ფემინისტური ფორუმი არის ინიციატივა უსაფრთხო სივრცის და ინტერდისციპლინური ქსელის შექმნისა, რომელიც სოციალურ თეორიასა და პრაქტიკაზე ფემინისტური რეფლექსიისთვის ერთმანეთთან დააკავშირებს მკვლევრებს, აქტივისტებს, სტუდენტებს, სათემო და სახელოვნებო ორგანიზაციების, ფორმალური და არაფორმალური კოლექტივების წევრებს.

# დონორები და პარტნიორები

# ქსელები